

27. 1945. Куда ЗИСовы.
V+

ЗИСовы винтовки Т-26 и танк
зато ЗИСовы гаубицы обстрель-
ныши. Их надо было отбрасывать
все. Живых не было, все
были. Сражение это было не-
примечательно.

Среди солдат; между
закровью и кровью. Многие из них
умерли на месте, другие встали
ЗИСовы и ушли.

СССР ЗИС 31072. Западный фронт
1945 год. Битва за Западную
Европу. Солдаты идут
победа ЗИСовы идут.

Но было много погибших.

ЗИСовы и боялись сражаться
Был один из них. один из которых
был ранен. один из которых
был ранен. один из которых
был ранен. один из которых

ԹՈՒՅՈՒՆ ԹՅԱԼՎԱՅՈՒՆ

ԵՐԱԿԱԿԱՆ
ՅՐԵԱՑՈՒՅՆ

Обратный адрес: Полевая почта № 39381 „А.”


ԱՎԱՂԱՅԻ Ա. Ա. Տ.

(имя, отчество и фамилия отправителя)



... ОКРУЖАТЬ ВОЙСКА ПРОТИВНИКА,
ДРОБИТЬ ИХ И УНИЧТОЖАТЬ ...
И. СТАЛИН.

Г 531583 Воениздат НКО. По заказу Военкнижторга. Типогр. газ. „Правда“ Зак. 740
Цена 8 коп.




ශ්‍රී ලංකා ජාතියා
ප්‍රධාන පොදුව

මධ්‍යස්ථාන තුනාලාවාපිල්

නොරිලිචරු

ଓලିଙ୍ଗାନ



1943 წლის
1943 წლის



მიხეილ თვალავაძე ბავშვობაში

30 წლის მიხეილ თვალავაძე, სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის ეკლესიის მოძღვრის – ალექსანდრე თვალავაძის მეხუთე ვაჟი, მეტყველე-ინჟინერი, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ციტრუსებისა და ტყის კულტურების სანერგეს გამგე, დროებით არასამხედროვალდებული (როგორც სამი მცირენლოვანი ვაჟის მამა – 4 წლის რევაზი, 3 წლის თემური და 10 თვის ივანე) 1942 წლის 2 აგვისტოს ნებაყოფლობით წავიდა მეორე მსოფლიო ომში, როგორც მეუღლისადმი მიწერილ წერილებში ამბობს, სამშობლოს დასაცავად, კაცობრიობის მტრის – ფაშიზმის გასანადგურებლად.

მიხეილ თვალავაძემ ბრძოლით განვლო რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის, პოლონეთის ტერიტორიები, შევიდა გერმანიაში, სადაც 1945 წლის 3 მაისს, ბერლინის დაცემისას დაიჭრა, ხოლო 6 მაისს საბჭოთა და მოკავშირეთა ბომბდამშენებით ბერლინისა და მისი შემოგარენის დაბომბვის შედეგად განადგურდა შენობა, რომელშიც განთავსებული იყო პოსპიტალი. დაიღუპნენ ყველანი – დაჭრილები და სამედიცინო პერსონალი. ოთხნლიანი ბრძოლებგამოვლილი, ტყვიებსა და ყუბბარებს გადარჩენილი მიხეილის სიცოცხლე და ოცნებები საბჭოთა არმიის ბომბებს შეეწირა. დასაფლავებული იქნა პერიგსდორფში, ბერლინის ცენტრიდან 15 კილომეტრში, სამხედრო სასაფლაოზე.

მიხეილი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორი ორდენითა და სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის მედლებით.

მიღებული აქვს მთავარსარდლის – იოსებ სტალინის ექვსი მადლობა.

ივანე თვალავაძე



სალამი ვენერას!

მე ისევ ვაზიანში ვარ. ვარ კარგად. როგორ ხართ თქვენ? როგორ არიან ბავშვები? ამ დღეებში საბოლოოდ გამოირკვევა ჩემი შემდგომი მოქმედების საკითხები – ან გამგზავნიან სამხედრო სასწავლებელში ან ჩამრიცხავენ სამხედრო ნაწილში, საიდანაც რამდენიმე ხნის შემდეგ გამგზავნიან ფრონტზე.

იმის გამო, რომ მდგომარეობა დლითი-დლე სერიოზული და დაძაბული ხდება და რომ ომი ხანგრძლივი იქნება, ე. ი. მანამ არ დამთავრდება, სანამ ფაშიზმი მთლიანად არ განადგურდება, რასაც ყოფა-ცხოვრების გართულება მოჰყვება, საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციო შემდეგს:

1. ჩაქვში თქვენს გაჩერებას არ ექნება აზრი. უმჯობესი იქნება, სალხინოში დამკვიდრდეთ საცხოვრებლად ყველანი – მასთან ერთად ლილიც.

2. მთელი მატერიალური შესაძლებლობა გამოიყენე პრო-დუქტების შესაძენად, იმ ანგარიშით, რომ მთელი წლის სარჩო შეიძინოთ შემოდგომაზე, როცა იაფია შედარებით.

3. როგორც საკუთარი, ისე შეძენილი მარაგი შეინახე ძირი-თად საცხოვრებელ ადგილას, ე. ი. სალხინოში.

4. საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის დროს მოაგვარე ჩემი ლიტერატურის (წიგნები, უურნალები და სხვა) უდანაკარგოდ გადატანა. განსაკუთრებით შეინახე, როგორც სახსოვარი, ჩემი დღიურების რვეულები, შედგენილი საბჭოთა კავშირის მთავარ ქალაქებსა და ცენტრებში, 1936 წელს, ჩემი მოგზაურობის დროს.

ამრიგად, ყველა საკითხს მოეპყარი სერიოზულად. გაუფრთხილდი ბავშვებს. ბავშვებისათვის ჩაქვში ცხოვრება უნდა იყოს ფრთხილი. მოსალოდნელ შემთხვევაში უზრუნველყავით მათი გადაყვანა სოფელში – სალხინოში. ეს საქმე მეტად საფრთხილო და საპასუხისმგებლოა.

მ. თვალავაძე
29.09.41

სალამი ვენერას,

დღიდან სასწავლებელში ჩარიცხვისა – არანაკლებ 20 წერილი მექნება გამოგზავნილი, თქვენგან კი მხოლოდ ერთი წერილი მივიღე, რომელიც გასული წლის ნოემბერის თვეში გამოგიგზავნია. გარდა ამისა, მივიღე ფული – მანეთი 150. მიკვირს, რაშია საქმე, რატომ არაფერს იწერები? ყველანი, ვინც კი ჩემთან სწავლობენ, საქართველოდან არიან ისინი, თუ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან – ნორმალურად დებულობენ წერილებს – ჩემ გარდა. ეს მდგომარეობა მანუხებს მე.

მართალია, ჯერჯერობით არავითარი მატერიალური მზრუნველობა არ შემიძლია გამოვიჩინო თქვენ მიმართ, მაგრამ ბავშვების ამბების გაგება უმაგისოდაც არის საჭირო.

შენ წუხარ ჩემი მდგომარეობით. ჩემზე ნურაფერს ინაღვლებთ. მე ძალიან კარგად ვარ. საუკეთესო პირობები მაქვს ცხოვრებისა და სწავლისათვის. ფული არ გამომიგზავნოთ. იმას, რაც აუცილებელია, აქ გვაძლევენ.

შენ მთელი ყურადღება მიაქციე იმას, რომ ამ დაჭიმულ პერიოდში, როცა ცხოვრების სიძნელეები დროებით გაიზარდა, უზრუნველყო ბავშვებისა და შენი თავის შენახვა. მზრუნველობით მოეპყარი მშობლებს.

ამისათვის, აი, რა არის საჭირო.

არ ითაკილო შრომა, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი. ეცადე, რომ მოეწყო სამსახურში, რომლითაც შეძლებ ძირითადი საარსებო წყაროს შექმნას და გარდა ამისა, სარგებლობას მოუტან სამშობლოსაც.

თუ ვანში არ ხერხდება ასეთი საქმის გაჩენა – იმ შემთხვევაში ჩაქვში მოაწყვე საქმე, სადაც, ვფიქრობ, რომ მაქსიმალურ ყურადღებას მოგაქცევს მეურნეობის ხელმძღვანელობა. ბავშვებიც შენთან იყოლი.

ერთი სიტყვით, ეხლა გმართებს ერთობ დაკვირავებული მოქმედება.

ცოტა ხნის შემდეგ მეც მექნება საშუალება დახმარებისათვის, მაგრამ ამას სულ ცოტა სამი თვე მაინც დააგვიანდება.

დღეს მივიღე ლილის გასული წლის 28/XII-ს გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც მწერს, რომ ვენერა სოფელში არის და არ ვიცი, როდის ჩამოვა ჩაქვშიო. მე მაინტერესებს, გარდა ლილისა გაქვთ თუ არა კავშირი ჩაქვთან – სად ცხოვრობთ ძირითადად, ჩვენი ბინა ისევ ჩვენ გვეკუთვნის თუ არა?

საერთოდ – ყოველი საკითხის გაგება თქვენი ცხოვრების შესახებ ჩემთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, ამიტომ წერილით მაცნობე ყველაფერი. ამ ერთი თვის წინათ შალიკოს წერილი მივიღე დუშეთიდან, რომელშიც მწერდა ბიძინას დაჭრისა და ვოროშილოვგრადში წოლის შესახებ. ნეტავ როგორაა ამ მხრივ საქმე?

თუ იცი, სად იმყოფება ვალოდია და ვანიჩკა? გაიგე და მაცნობე წერილით.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ საით მომიხდება წასულა, არ ვიცი – მით უმეტეს, ეს ჩემს სურვილზე არ არის დამოკიდებული. ერთი ამბავი ცხადია – სახელდობრ ის, რომ ფრონტის მონაწილე მეც ვიქნები – უნდა ვიბრძოლო ჰიტლერისა და

მისი ხროვის წინააღმდეგ, მათი საბოლოო განადგურებისათვის, რომელმაც გადაწყვიტა ჩვენი სამშობლოს განადგურება.

სასწავლებლის დამთავრებისას, კარგი იქნება, თუ გნახავ.

ეხლა ერთ რჩევას მოგცემ კიდევ.

ყოველგვარი მატერიალური სახსრები გამოიყენე და თავს არ გაუჭირვო. ყველაფერი, რაც გაიყიდება, მათ შორის ჩემი ტანსაცმელიც, რომელიც მე აღარ დამჭირდება დიდ ხანს (მე სამხედრო ფორმა მექნება მთელი ცხოვრების მანძილზე), გაყიდე და მოიხმარე. თავი დაანებე იმაზე ფიქრს, რომ ვითომც ტანსაცმლის გაყიდვა დიდ უბედურებას მოასწავებს. ეს არაფერია, მაგნაირ ტანსაცმელს, თუ საჭირო იქნება, მშვიდობიანობის დროს ყოველთვის შევიძენთ.

გაზაფხულზე ეცადეთ ეზოს დამუშავებას (ბოსტნის მოწყობას, სიმინდის დათესვას და სხვა). როგორა გაქვთ ძროხის საქმე – გაყიდეთ თუ ისევ გყავთ? თუ შეინარჩუნებთ, კარგი იქნება. ასე რომ, აზრიანად იმოქმედეთ.

1/II-42

სალაში ვენერას და ლილის!

შენი მეორე წერილი გუშინწინ მივიღე. ძალიან კარგია, რომ კარგად ხართ.

ცნობას ავიღებ და მალე გამოგიგზავნი (ე. ი. მე რომ ვსწავლობ). ამ ცნობით შენ მეურნეობა არაფერს მოგცემს, მაგრამ რაიაღმასკომში შეიტან განცხადებას დახმარების დანიშვნაზე – მანამ, სანამ მე აქ ვიქნები.

ასე, იყავი კარგად.

სალაში და მხურვალე კოცნა პავშვებს და მშობლებს მოკითხვა. ყველა მეზობელს – სტეფანეს ოჯახის შემადგენლობას,

პიპინიას ოჯახის შემადგენლობას, იერემიას, მარტინეს და ყველას, ყველას, ვისაც ვიცნობ.

მ. თვალავაძე
7.02.42. ბაქო

სალაში ვენერას და ლილის!

ვენერა, იწერებით, რომ ჩვენზე ნურაფერს იდარდებო. ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, რომ ამის განხორციელება შემებლოს. ზოგჯერ ვცდილობ, არ ვიფიქრო თქვენზე, მაგრამ პირიქით, ამ დროს მიორკეცდება მოუსვენარი მდგომარეობა. არც ერთი წამი ჩემი ცხოვრებისა არ არის თქვენსა და ბავშვების გარეშე. ამას ხელი შეუწყო საცოდავი დედას მოულოდნელმა გარდაცვალებამ, რომელიც იყო ოჯახის ბურჯი. მე ჯერჯერობით დახმარება არ შემიძლია. ეცადეთ მანდ, ე. ი. ვანში გაიჩინოთ საარსებო საშუალება, რადგანაც ახლანდელ გართულებულ ვითარებაში უშიშარი ცხოვრება უფრო მანდ იქნება გარანტირებული, ვიდრე ჩაქვში. მით უმეტეს, თუ ეზოს დამუშავებას მოახერხებთ, სამსახურიც შეიძლება მოახერხოთ მანდ. ასე რომ, დაფიქრდით და ისე გადაჭრით საკითხი, რომ უზრუნველყოთ თქვენი და ბავშვების სიცოცხლის და ცხოვრების პირობები. გამოიყენეთ მამას – პარმენის შესაძლებლობაც.

ვენერა, ეცადეთ, რომ ერთად იცხოვროთ. ლილი, აბა შენ იცი, როგორ აზრიანად მოაგვარებთ საქმეს. ერთმანეთს ნუ დაშორდებით. ცხოვრებაზე გული არ გაიტეხოთ. იმოქმედეთ ვაჟკაცურად.

თქვენი მ. თვალავაძე
6.05.1942. ბაქო

ჩემო ვენერა!

შენი წერილი მივიღე 30 ივნისს. კარგია, რომ ყველანი კარგად ხართ. ბავშვები ახლა ისეთ ასაქში არიან (განსაკუთრებით რეზიკო და თემური), რომ ისინი იწყებენ დადებითი და უარყოფითი თვისებების შეძენას. შენზეა დამოკიდებული მათი ღირსეული აღზრდის საქმე. ეცადე, განავითორო მათში გულადობა, სითამამე, ზრდილობიანობა და შრომისადმი სიყვარული (ცემა, დაჩაგვრა, შეგინება არ არის საჭირო). შეასწავლე საბავშვო ლექსები. შეიძინე საბავშვო უურნალები, როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე.

მე კარგად ვარ. აქ კიდევ რამდენიმე ხანს შეიძლება დავრჩე. ასე, იყავ კარგად.

შენი მიშა თვალავაძე
22.07.1942 წ.

სალამი ვენერას!

როგორა ხართ? ღებულობთ თუ არა ჩემს წერილებს. უკვე 10 დღეა, რაც ვმოგზაურობ. 2 საათი მომიხდა მოზდოკის მიმართულებით ფრონტზე ყოფნა. ეხლა ახალ ადგილზე – სადგურ ბესლანში ვიმყოფები – საიდანაც ორჯონიკიძეზე გავლით, საქართველოს სამხედრო გზით – თბილისი დაშორებულია 240 კილომეტრით. ამ გზით ვიმგზავრე 1936 წელში რუსეთიდან დაბრუნებულმა. ვფიქრობ, ორჯონიკიძის მახლობლად მომიხდება გაჩერდება. ზუსტი მისამართი არა მაქს, გაცნობებ მისამართს, კარგად ვარ. ჩემი ამხანაგები უკლებლივ ყველანი ჩემთან არიან.

იყავით სულ კარგად.

შენი მიშა თვალავაძე
27/X - 42 წელი



სხედან: მიხეილ, რევაზ და ვენერა თვალავაძეები
უკან: პელაგია ჯოჯუა და თემურ თვალავაძე
1940 წელი

სალამი ვენერას!

ამ წერილს ორჯონიკიძის საველე განმანაწილებელ ჰოსპიტალიდან ვგზავნი, სადაც ამჟამად ვარ მოთავსებული.

გუშინწინ მივიღე მსუბუქი ჭრილობა მარცხენა ქვედა მხარეში (сқвозная пулеметная рана). თავს კარგად ვგრძნობ. არ შეგაშინოს ამ მდგომარეობამ.

აქედან სხვაგან გადამგზავნიან, საიდანაც მოგწერ წერილს და მისამართს.

კანდელაკი ჩემზე ერთი დღით ადრე დაჭრეს მსუბუქად, თუ არ ვცდები, მარცხენა ხელის გულში და გაგზავნეს ჰოსპიტალში. ასე რომ, დავშორდით ერთმანეთს. ის წერილს გაგზავნის სახლში და გამაგებინეთ მისი მისამართი. ეს ამბავი აცნობე მის

მშობლებსაც. შეიძლება, მეც დავუკავშირდე წერილით. დაჭრეს აგრეთვე ქობულეთელი ევგენიძეც მსუბუქად მხარში.

მაშ ასე, იყავით კარგად. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე
18/XII. 42 წელი

სალაში ვენერას!

მე ამჟამად გროზნოს პოსპიტალში ვიმყოფები. აქვე დაბინავდნენ ჩემი ამხანაგები – კანდელაკი და ევგენიძე. აქ ყოფნის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ჭრილობის საბოლოო განკურნებაზე და არ აღმატება 20 დღეს. ასე რომ, ვერც წერილებს, ალბათ, ვერ მივიღებ.

აქედან ისევ ნაწილში დავბრუნდებით. იქიდანაც მოგწერ წერილს და მისამართს. აქაურ მისამართს გამოგიგზავნი, ყოველ შემთხვევაში და მოიწერე წერილი. თავს კარგად ვგრძნობ. კარგად არიან ზემოაღნიშნული ჩემი ამხანაგებიც.

როგორ ხართ თქვენ, როგორ არიან ბავშვები? აბა, შენ იცი, როგორ მხნედ გააგრძელებ ცხოვრებასა და მოქმედებას. იყავი სულ კარგად.

გკოცნით ყველას.

შენი მიშა თვალავაძე
23. XII. 1942 წელი

სალაში ვენერას!

ამ ორი თუ სამი დღის ნინ რუსულ ენაზე, ზოგიერთი მოსაზრებით, ორი წერილი გამოგიგზავნე. მიიღე თუ არა? როგორა ხართ? როგორაა შენი ჯანმრთელობის საქმე, როგორ არიან ბავშვები?

მე კარგად ვარ. ვიმყოფები ფრონტზე. მომწერე წერილი ყოველგვარ საკითხებზე. იყავით სულ კარგად.

გკოცნით ყველას.

შენი მიშა თვალავაძე

12/IV-1943

სალაში ვენერას!

გილოცავთ პირველ მაისს. გისურვებთ ყველას მტკიცე, ფოლადისებურ ჯანმრთელობას და სიმხნევეს ყოველგვარ დაბრკოლებათა გადასალახად. მე კარგად ვარ. ვიმყოფები ფრონტზე და ვიბრძვი ჰიტლერული ბანდიტების წინააღმდეგ. ძალიან ხშირად ვაგზავნი წერილებს, მაგრამ შენგან პასუხს ვერ ვლებულობ. ზოგიერთი მოსაზრებით, რუსულ ენაზე დაწერილი წერილებიც გამოგიგზავნე. მიკვირს, რატომ ვერ ვლებულობ წერილებს. გუშინწინ თენგიზ კანდელაკის წერილი მივიღე – კარგადაა, ჯანმრთელადაა. ეს ამბავი გადაეცი მის მშობლებს სამტკრედიაში (ქრისტინეს და ანდროს).

იყავით კარგად. სალაში ჩვენებს.

თქვენი მ. თვალავაძე

27. 04. 1943

სალაში ვენერას!

შესაძლებელია, ვერც ეხლა მივიღო პასუხი, მაგრამ მე მაინც გწერ წერილს.

როგორ ცხოვრობთ, როგორა ხარ პირადად შენ, როგორ არიან ბავშვები, მამა, ლილი დოდოშათი და სხვები, ჩვენი ახლობელი ნათესავები?

მე კარგად ვარ. ფრონტზე ვიმყოფები, ვიბრძვი მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის. ეხლა ეს საქმე ძირითად პროფესიად იქცა.

სხვათა შორის, ამ ხუთი დღის წინ გამოგიგზავნე (უკეთ, ნანილმა გამოგიგზავნა) ჩემი კუთვნილი ხელფასი – 150 მანეთის რაოდენობით. მიიღე თუ არა? ამ თანხას ყოველთვიურად მიიღებ. მე აქ ფული არ მჭირდება.

ასე, იყავით კარგად. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე
14/V-43

სალამი ვენერას!

დღეს მივიღე შენი ორი წერილი, 6 და 10 მაისს გამოგზავნილი. კარგია, რომ ყველანი კარგად ხართ, მაგრამ საჭიროა, იქონიო მეტი სულიერი სიმშვიდე, დარღი საქმეს არ შველის. პესიმიზმში გადავარდნა სრულებით არაა საჭირო. ყოველ შემთხვევაში, რაც არ უნდა რთულ ვითარებაში აღმოჩნდე – იქონიე სიმხნევე და გააგრძელე ბრძოლა ცხოვრებისათვის, ბავშვებისათვის. მე სრული იმედი მაქს შენი.

მე მეხივით ვარ. კარგ ადგილზე ვარ მოწყობილი. მოსალოდნელია, ისევ კურსებზე წავიდე. შევიძინე კარგი რუსი ამხანაგები. ქართველები ჩემთან არ არიან.

იყავი კარგად. გკოცნით ყველას ურიცხვს.

შენი მ. თვალავაძე
20/V-43

სალამი ვენერას!

შენი წერილები მივიღე. გავიგე, რომ კარგად ხართ. წერილი მივიღე აგრეთვე ვალოდიასა და ბუჭუსაგან, რომლებსაც საპასუხო წერილიც გავუგზავნე.

მრავალმხრივ სასიხარულოა მათი დაბრუნება სახლში.

მე კარგად ვარ. ადამიანი ყველაზე ჭკვიანი ცხოველია. ის ოსტატურად გარდაქმნის თავის შეგნებას პირობების მიხედვით.

მეც მტკიცედ შევეგუე ფრონტის ცხოვრებას. ჩემში ოდნავ შიშს არ იწვევს მტრის საარტილერიო ცეცხლი, ავიაციის მოქმედება, ტყვიების სისინი და სხვა.

ჩვენ გვაღირთოვანებს მტკიცე რწმენა კაცობრიობის უსაშინლესი მტრის – ჰიტლერისა და მისი ბანდის – განადგურების, რომელიც დღითი-დღე ახლოვდება.

ამ უკანასკნელ ხანებში მოქმედება და ცხოვრება მიხდება ხეხილის ბალებში, რომლებიც ხშირად მაგრნებს ნასაკირალისა და ჩაქვის ზოგიერთ მიდამოებს, მაგრამ როდესაც ფაშისტი ყაჩაღების მიერ ნანგრევებად ქცეულ სოფლებს ვხედავ – მხოლოდ ერთი გრძნობით გავიმსჭვალები, რაც შეიძლება მალე ვიძიო შური მტრის მიმართ.

თენგიზ კანდელაკის წერილებს ვღებულობ და მეც ვუგზანი. კარგად არის. არ გაწყვიტო კავშირი მის მშობლებთან – სამტრედიაში.

იყავით სულ კარგად. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე
27/V-43 წელი

სალამი ვენერას!

თავდაცვის ზღუდე, სადაც დღეს ვიმყოფები, ისეთი მცირე მანძილითაა დაშორებული მოწინააღმდეგეს, რომ მათი ლაპარაკი გარკვევით მესმის. მე მებრძოლ რუს ამხანაგებთან ერთად ვზივარ მიწურში და გიტარაზე ვამღერებ პატრიოტულ სიმღერებს, რომელსაც „ფრიცი“ ისმენს კარგად. კარგად ვარ.

წერილებს შენგან მეც ხშირად ვღებულობ. როგორა ხართ, რა არის ახალი და საინტერესო ამბები მანდ? ჩემთვის ყველა-

ფერი სასიამოვნოა თქვენი ცხოვრებიდან. როგორი ამინდებია
მანდ, გაგიმართლა თუ არა შრომამ? როგორი მოსავალი მიიღე
პურის ნათესიდან?

იყავი სულ კარგად და კარგად.

სალამი ნათესავებს და ნაცნობებს. დამიკოცნე ბავშვები.

შენი მ. თვალავაძე

11/VII - 43 წელი

სალამი, ვენერა!

დაძაბული ბრძოლის შემდეგ, საიდანაც მშვიდობით გამო-
ვედი, გნერ წერილს. ბრძოლის ნინ სიზმარი ვნახე. ვესაუბრე
მამაჩემს, რომელმაც გამაფრთხილა და ნება არ მომცა, მასთან
დავრჩენილიყავი. დასწყევლოს ღმერთმა, სიზმარი შეიძლება
ცრუმორწმუნეთა სანუგეშო იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში გა-
მართლდა.

დღეს ვისვენებ. ვიგონებ კარგ ამხანაგებს, რომლებმაც გმი-
რულად დასდეს თავი ამოცანის ბრნყინვალედ შესრულებისთვის.

ასე, ჩემო ვენერა, იყავი კარგად. ვალოდიას და ბიძინას ხში-
რად წერილებს ვუგზავნი, ისინი კი დუმან. რას მიჰქარავენ, ნე-
ტა? სალამი ყველა კარგ ადამიანს. მიიღე თუ არა ჩემი წერილი
და ცნობა. გუშინნინ ფული გამოგიგზავნე.

შენი მ. თვალავაძე

22/VII-43

ჩემო ვენერა!

შენს წერილებს ვღებულობ ხშირად. ყველა წერილს ვინახავ
და თავისუფალ დროს განმეორებით ვკითხულობ. როგორ ხარ?
მე კარგად ვარ. გუშინნინ ჩენი ნაწილის უფროსმა წითელი

ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოება მომილოცა – სამშობ-
ლოსათვის მეც დავიმსახურე მოწინავეთა სახელი. გუშინ აქეთ,
აპრილის შემდეგ, პირველად მოვიდა წვიმა. შენ მწერდი, რომ
მანდ გვალვებია, ყველაფერი დაიწვა. როგორი ამინდებია ახლა?

შენი მიშა თვალავაძე

24.07.1943

სალამი ვენერას!

ამ ბოლო დროს შენ ისეთი პესიმისტური ხასიათის წერი-
ლების წერა დაიწყე, რომ სამხედრო ცენზურა იძულებულია,
შესწორება შეიტანოს შიგ. მაგალითად, ა/ნ. 2/VIII გამოგზავნილ
წერილში ბევრი რამ სრულიად წაშლილი იყო.

მართალია, რომ ცხოვრების პირობები ძნელი გაქვს და დარ-
წმუნებული ვარ, ძლიერ გიჭირს მისი გადალახვა, მაგრამ დარ-
დი რას გაგიკეთებს? ძლიერ გამიხარდა, რომ კოლმეურნეო-
ბაში სამუშაო გაგიჩენია, კიდევ უკეთესი იქნება, თუ სკოლაში
მოეწყობი იმ ადგილზე, რომელსაც შენ მწერ წერილში.

რატომ არ იწერები, მიიღე თუ არა თითქმის ერთი თვის წინ
გამოგზავნილი ცნობა და ფული? დღეს კიდევ გიგზავნი ცნო-
ბას. მიღება დამიდასტურე.

მე კარგად ვარ. შალიკოს წერილი მივიღე. ბიძინასა და ვა-
ლოდიას კოლექტიური საყვედურის წერილი გავუგზავნე. შენც
იყავი გულახდილი და გაგიცხე გულგრილობისათვის. ხომ გა-
გიგონია: „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო“.

იყავი კარგად. დამიკოცნე რეზიკო (ბუკული), თემური (კუ-
კური) და ვემიკო (ეს იყოს მისი ნამდვილი სახელი).

სალამი მამას, სალამი მეზობლებს.

გაოცნით თქვენი მ. თვალავაძე

16/VIII-43

სალამი ვენერას!

22 აგვისტოდან გავემგზავრე სარატოვში – სამხედრო სასწავლებელში. მისამართს გაცნობებ. წერილებს გამოგიგზავნი. ჩემი თხოვნაა – გამარჯვებით დაბოლოვო ბრძოლა ომით გამოწვეული საშინელებების გადასალახად. შორს არ არის ის დრო, როცა მტერი საბოლოოდ იქნება განადგურებული, რომლის შემდეგ ჩვენი ცხოვრება კვლავ ნორმალურად წარიმართება.

იყავით კარგად. დამიკოცნე ბავშვები.

შენი მ. თვალავაძე

26/VIII-43

ჩემო ვენერა!

დღეს ვიმყოფები იმ ქალაქში, სადაც შვიდი თვის წინათ წითელმა არმიამ საბოლოოდ გაანადგურა ჰიტლერის ფაშისტური არმიის რჩეული ნაწილები და ამით გზა გაუკაფა ეხლანდელ ბრწყინვალე მიღწევებს მათზე საბოლოო გამარჯვებისათვის. ეს არის გმირების ქალაქი, საბჭოთა ვერდენი – სტალინგრადი. ათვალიერებ რა ქალაქს, მორიგი შურისძიების გრძნობით ივ-სება გული იმ მხეცობისათვის, რაც კაციჭამია ჰიტლერელებმა ჩაიდინეს აქ. განუსაზღვრელია მათი მხეცობით გამოწვეული ზარალი, მაგრამ მტკიცეა საბჭოთა პატრიოტების ნებისყოფა – ქალაქის მოსახლეობა ერთი აზრით განმსჭვალული იბრძვის ქალაქის აღდგენისათვის.

დღეს გავემგზავრები სარატოვში, სადაც, როგორც წინა წერილში გწერდი, გამგზავნეს კურსებზე. იქიდან წერილს მოგწერ და გაცნობებ ყველაფერს.

მე კარგად ვარ. იყავით სულ კარგად. გკოცნით ყველას. მოკითხვა პატ. ტურიას, დარეჯანს და სხვებს.

შენი მ. თვალავაძე

სტალინგრადი, 31/VIII – 43 წელი

სალამი ვენერას!

უკანასკნელი 11 დღის განმავლობაში – ბრძოლებით 400 კილომეტრამდე გავიარე. ყოველი წინ გავლილი კილომეტრი აახლოვებს ფაშიზმის ალსასრულს და ომის დამთავრების ბეჭნიერ თარიღს, რომელსაც მსოფლიოს ასობით მილიონები დიდი მღელვარებით ელოდებიან.

დღეს ვარშავისაკენ მიმავალ შოსეზე მივაბიჯებ. პატარა შესვენების დროს წერილებს ვწერ – მინდა, ყველას გავუგზავნო, თუ მოვასნარი.

ყურადღებას იპყრობს სუფთა სოფლები, რომლებიც ვერ შეძლეს გადაწყვათ გაცოფებულ მხეცებს. ჰიტლერელმა ყაჩაღებმა უკან დახევის დროს ზოგიერთი ქალაქი და სოფელი მთლიანად გადაწყვეს და ააოხერს. განთავისუფლებული მოსახლეობა დიდი სიმპათით გვეპყრობა. თვალწარმტაცი, ლამაზი და მდიდარი ბუნებაა აქ, მაგრამ საქართველოს ვერ შეედრება, თუმცა, რაც არ უნდა ცუდი იყოს სამშობლო, „გულს სულ იქითკენ უხარის“, ან „არ გაცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო“.

როგორა ხართ თქვენ? მე უკვე აპრილის შემდეგ არაფერი ვიცი თქვენ შესახებ. წერილი ხშირად – თუ შეძლებ, ყოველდღე გამომიგზავნე – შესაძლებელია, ბერლინამდე მომისწროს გზაში.

მე კარგად ვარ. იყავით სულ კარგად. მოკითხვა ჩვენებს. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე

29 ივლისი, 1944 წ.

ჩემო ვენერა!

გუშინ შემისრულდა სამი წელი, რაც არმიაში ვარ. ამ წნის განმავლობაში მრავალი ცვალებადობა მოხდა ჩემს პირად მეობაში. კერძოდ, სამოქალაქო ადამიანიდან მე გადავიქეცი სამ-

ხედრო ადამიანად, რომელსაც ომის პირობებში, სადაც უღამდება, იქ უთენდება.

პირველი აგვისტოს ლამე – ჩემს მებრძოლებთან ერთად ერთ პატარა ტყეში გავათიე. მთელი ლამის განმავლობაში მოდიოდა ძლიერი წვიმა, რომელმაც გამახსენა ჩაქვის (საერთოდ დასავლეთ საქართველოს) წვიმები. ამასთან დაკავშირებით, მოვიგონე 1941 წლის 2 აგვისტოს ლამეც ჩაქვში, ჩვენს მიწაზე, სადაც უკანასკნელად გავათიე ლამე შენთან ერთად და მეორე დღეს, მოულოდნელად გავემგზავრე ვაზიანში, როგორც სამხედრო ვალდებული.

ოხ! რა დიდი კონტრასტია 1941 წლისა და 1944 წლის 2 აგვისტოში. მაშინ მე სამხედრო თვალსაზრისით სრულიად ნედლი მასალა ვიყავი, გათავებებული ფრიცები შეუნელებლივ მოიწვდენენ წინ და ოუპირებას უკეთებდნენ ჩვენი სამშობლოს მთელ რიგ მხარეებს.

ამჟამად ჩემში მებრძოლის ძლიერი სული დუღს, რომელიც გამსჭვალულია ლტოლვით – გაანადგუროს კაცობრიობის უსაშინლესი მტერი – პიტლერული ყაჩაღები, რომლებმაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მილიონობით ადამიანი მოწყვიტა ადამიანურ ცხოვრებას.

ამჟამად, ჩვენი არმია, რომელმაც გაანთავისუფლა ბელორუსია, თითქმის მთელი უკრაინა და მიედევნება მათ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან, ბრძოლებს აწარმოებს ჩვენი მოკავშირე ქვეყნის, პოლონეთის ტერიტორიაზე – პოლონელ მეგობრებთან ერთად – პოლონეთის განთავისუფლებისათვის.

ამ ხნის განმავლობაში, საუკეთესო ამხანაგები, როგორც არმიაში გაცნობილები, აგრეთვე სამოქალაქო ცხოვრებიდან, დაიფერფლნენ ბრძოლის ვერლზე – სამშობლოსათვის.

მრავალი გაჭირვებისა და ბრძოლის მიუხედავად, „слава боргу“, ჯერ კიდევ კარგად ვარ და ბედნიერი ვარ იმით, რომ სა-

მუდამოდ მოეხსნა ჩვენს ქვეყანას ჰიტლერიზმის საშინელება და რომ ჩვენი ბავშვები აღიზრდებიან და იცხოვრებენ ადამიანურად.

მე კარგად ვარ. როგორ ხართ თქვენ? თქვენს ნერილებს ვერ ვდებულობ, მაგრამ ამის მიზეზი თქვენ არა ხართ. კარგია, თუ თქვენ დებულობთ.

შენი მ. თვალავაძე
3 აგვისტო, 1944 წ.

ჩემო ვენერა!

განვლილ განსაცდელს, რაც არ უნდა დიდი იყოს იგი, ადვილად ივიწყებს ადამიანი და მორიგ სიძნელეებთან წარსული არაფრად მიაჩნია. ბევრი მწარე დღე და განსაცდელი ვნახე ფრონტზე ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ყველა განვლილი დაჩრდილა 10 აგვისტოს ბრძოლებმა, საიდანაც გამარჯვებული გამოვედი.

მტერი, მართალია, სასიკვდილოდაა დაჭრილი, მაგრამ დაჭრილი მტერი – სიკვდილის წინ – გააფთრებულად იბრძვის, არაფერს ზოგავს იმისათვის, რომ თავისი მოწინააღმდეგე გამოასალმოს წუთისოფელს, რასაც ის იშვიათად აღწევს – თუ გამოცდილ მონადირესთან აქვს საქმე.

დღეს ერთ პატარა სოფელში ვისვენებ. კარგად ვარ. ხვალ, თუ ბრძოლაში არ ვიქენი, გათვალისწინებული მაქვს ატესტატის გაფორმება და გამოგზავნა.

მიიღე თუ არა 1800 მანეთის მიღების დოკუმენტი? მომწერე ყველაფერი. იყავი კარგად და კარგად. დამიკოცნე ბავშვები.

შენი მ. თვალავაძე
14 აგვისტო, 1944 წ.

სალაში ვენერას!

დღეს მეთორმეტე დღეა, რაც შეუნელებელი ტემპით მივდივართ წინ დასავლეთისაკენ – ბერლინისაკენ, ჰიტლერული ყაჩალების საბოლოო განადგურებისათვის, რომლებმაც უკანასკნელი 6 წლის მანძილზე მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს.

ამჟამად, ჩვენი მოკავშირე სახელმწიფოს – პოლონეთის განთავისუფლება მიმდინარეობს. ვერ წარმოიდგენ იმ სიხარულს, რასაც განიცდის აქაური მოსახლეობა. ფრიცების აგიტაციის წყალობით ისინი არ მოელოდნენ წითელი არმიის უაღრესად კულტურულ დამოკიდებულებას მოსახლეობისადმი.

მოსახლეობა თავიანთ სიმპათიას ჩვენ მიმართ მრავალმხრივ გამოხატავს – თაიგულებით ხვდება ჩვენს კოლონებს.

ამჟამად ვარშავის შოსით ვაგრძელებ წინსვლას – ბრძოლებით. მთელი ეს გზა მოფენილია ფაშისტთა გვამებით, რომლის დანახვა მხოლოდ და მხოლოდ სიხარულის გრნობას იწვევს ჩემში და კიდევ უფრო მეტად აღვივებს შურისძიების გრძნობას მათ მიმართ.

ყურადღებას იპყრობს ამ ქვეყნის შემკული, მრავალფეროვანი, ლამაზი ბუნება, სუფთა სახლები, ფიჭვის ხელოვნური ტყის მასივები, სუფთა ეზოები, ვაშლის, მსხლისა და ალუბლის მსხმოიარე ხეებით. ყველაფერი კარგია აქ, მაგრამ სალხინოზე უკეთესს მაინც ვერაფერს ვხედავ.

იყავით კარგად. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე
18/VIII-44

სალაში ვენერას!

შენი 6 სექტემბერს გამოგზავნილი წერილი დღეს მივიღე. შენ ძლიერ შიშობ და შეშფოთებული ხარ იმით, რომ წინასწარ არ იცი ჩემი საბოლოო ბედი, ე. ი. დავბრუნდები თუ არა მე

მშვიდობით სახლში – ომის დამთავრების შემდეგ. ეს საკითხი ერთობ სერიოზული საკითხია და მისი ცოდნა არც ჩემზეა და არც შენზე დამოკიდებული. იგი მთლიანადა დამოკიდებული იმის კანონზომიერებაზე, რომლის მიხედვით – ბევრი იღუპებიან სამშობლოსათვის და ბევრიც საბოლოო გამარჯვების შემდეგ ბრუნდებიან უკან და აგრძელებენ ცხოვრებას. არ ვიცი, ადამიანთა რომელ კატეგორიას ვეკუთვნი მე, თორემ სიამოვნებით, გადაჭრით გაცნობებდი, რა მომელის მე.

ყოველ შემთხვევაში, გირჩევ, თავი დაანებო ამაზე ფიქრს, რადგანაც ამით ავნებ შენს თავს და ბავშვების აღზრდის საქმესაც. უმჯობესი იქნება, გააგრძელო ბრძოლა ცხოვრების სიძნელეთა დაძლევისათვის და უზრუნველყო როგორც შენი, აგრეთვე ბავშვების კეთილდღეობა.

როგორც შენი წერილიდან ჩანს, დოდოს და ბუკულის უკვე დაუწყიათ სწავლა. მივესალმები ამ ამბავს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი წესიერი აღზრდა და სწავლა, საქმარისი არ იქნება მხოლოდ სკოლის მასშტაბით შემოიფარგლოს მათი წვრთნა. უაღრესად დიდ როლს ბავშვების აღზრდის საქმეში ოჯახი და მისი წამყვანი ფიგურა, დედა თამაშობს.

საჭირო იქნება, შენ ამთავიდანვე ხელი მიჰყო მათი აღზრდის საქმეს და საამისოდ სისტემატურად გამოჰყო დრო. ასევე უნდა მოიქცეს ლილიც.

დედა ენის წესიერად სწავლასთან ერთად, ამთავითვე ეცადე, შეასწავლო რუსული ენა, რომლის გარეშე შეუძლებელია სასურველი შედეგების მიღწევა, მეცნიერების რომელი დარგიც არ უნდა აიღოს ადამიანმა. რუსული ენა საერთაშორისო ენაა, მისი წესიერი ცოდნის გარეშე ადამიანის წინსვლა შეპორკილია. ამაში, ძლიერ ხშირად, საკუთარ თავზე დავრწმუნდი.

საჭირო იქნება, შეაყვარო მათ არა მარტო მშობლიური, არამედ რუსული საბავშვო ლიტერატურის კითხვაც, რომელზედაც ფრიად მდიდარი მასალები მოიპოვება.

ასე, ვფიქრობ, რომ სერიოზულად მოჰკიდებ საქმეს ხელს. ბავშვების წესიერი აღზრდა – აი, ფრიად საპატიო და საპასუხის-მგებლო ამოცანა მშობლებისათვის. შესაძლებელია, მეც მონაწილე გავხდე ამ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ჩემს მოსვლამდე ცენტრალურ ფიგურას მხოლოდ და მხოლოდ შენ წარმოადგენ.

მე კარგად ვარ. ამჟამად – თადარიგში ვარ. მალე ისევ მწყობრში ჩავდგები.

გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე
24 სექტემბერი, 1944 წელი

ამ ხუთი დღის წინ სექტემბრის ხელფასიდან ფოსტით 200 მანეთი გამოგიგზავნე.

დანარჩენი ფული პოლონურ ნიშნებზე მეძლევა და იძულებული ვარ, გამოვიყენ იგი სათამაშოდ და არყის სასმელად. მიიღე თუ არა ატესტატი, რომლის მიხედვით მანდ სამხედრო კომისარიატში უნდა მიიღო სექტემბრიდან 1945 წ. აპრილამდე 600 მანეთი? მომწერე ამის შესახებ.

მიშა

ძმაოშალვა!

შენს წერილზე, რომელიც ბარისახოდან მივიღე, პასუხი მოგწერე. სწორედ იმ დღეს (მგონი, 15 ოქტომბერს) ჩავდექი მწყობრში და დღემდე ვიმყოფებოდი მონინავე ხაზზე, სადაც არტილერიის განუწყვეტელ ცეცხლში გავატარე მთელი დღეები, რომლის მსგავსს პირველად შევხვდი ამ ორი წლის განმავლობაში ფრონტზე.

ამ ბრძოლების შედეგად ბევრ კარგ ამხანაგს ვეღარ ვხედავ. მიკვირს, როგორ მოხდა, რომ მშვიდობით გამოვედი ამ ჯოჯო-

ხეთური ბრძოლებიდან. ამჟამად, ცოტათი მოშორებული მოწინავე ხაზიდან, ვისვენებ. არა მიშავს, კარგად ვარ.

ხვალ ახალი ამოცანის შესრულებაზე მომიხდება წასვლა. ნამდვილი მეომარი გავხდი. „ადამიანი ჯოჯოხეთსაც შეეჩევაო“, სრულ სიმართლეს შეიცავს ეს ანდაზა.

დღეს ჩემი მეგობრისაგან – ვიქტორისაგან – წერილი მივიღე. ძლიერ ჩქარობს ჩემს დაბრუნებას და ადგილებს მირჩევს. ის კეთილი მეგობარია. მაგრამ ომი – კაცობრიობის უსაშინლესი მტერი – ბორკავს კეთილი სურვილების განხორციელებას.

იყავი კარგად. სალამი მერის.

შენი მ. თვალავაძე
24. 10. 44

სალამი, ჩემო ვენერა!

გილოცავ გათხოვების (დაქორწინების) 10 წლისთავს. გისურვებ ჯანმრთელობას და მხნედ ყოფნას. ძლიერ სწრაფად გადის დღენი ჩვენი ცხოვრებისა. გუშინდელ დღესავით მახსოვს 1934 წლის 7 ნოემბერი, როცა იურიდიულად გავაფორმეთ ცოლქმრული ურთიერთობა.

სინამდვილეში, მცირე გამონაკლისების გარდა, ეს იყო ბრძოლების წლები ცხოვრების უკუღმართი კანონების წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე ძნელი გახდა შენთვის 1941 წლის 2 აგვისტოს შემდეგ. შენ დღემდე გამარჯვებით დააბოლოვე არათანაბარი დაბრკოლებების წინააღმდეგ ბრძოლა. მეც დღემდე – აუნერელი სიძნელეები გამოვიარე ფრონტზე და ყოველგვარი მძიმე მომენტებიდან გამარჯვებული გამოვედი. იმისათვის, რომ მოვიპოვოთ საბოლოო გამარჯვება, საჭირო იქნება, გავაგრძელოთ მტკიცე ნებისყოფით მოქმედება – შენ მანდ ოჯახში, მე კი, აქ, ფრონტზე. ვფიქრობ, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენი იქნება.



თემურ თვალავაძე
მამის საფლავთნ
პენიგსდორფი, 1984 წელი

შენ ბედნიერი ხარ იმით, რომ შეძელი ბავშვების პატრონობა, რის შედეგად რეზიკო უკვე მოწაფეა და მისგან მე წერილს ვღებულობ. სულ მალე გაივლის კიდევ 10 წელიც და რეზიკო და თემური საშუალო სასწავლებელ დამთავრებული კაცები ძმებივით ამოგიდგებიან გვერდში... ასე, ჩემო ვენერა, არ შეგაშინოს ცხოვრებამ. თურმე ძლიერ ადვილად ყოფილა შესაძლებელი ცხოვრება. ომა ბევრი რამ მასწავლა. საჭირო იქნება მისი გამოყენება მომავლისათვის.

ვენერა! შენ ეჭვობ – ვაითუ მე პოლონელ ქალებში ვიყო გართული და მათ ვანაცვალებდე შენს თავს. გულახდილად გეტყვი, რომ არ ვიტყოდი უარს პოლონელ ქალებზე, მაგრამ ფრონტის ზონაში მათ იშვიათად შეხვდები. შენს თავს კი, ყოველ შემთხვევაში, არავის ვანაცვალებ.

იყავით კარგად. გკოცნით.

შენი მ. თვალავაძე
4 ნოემბერი, 1944 წელი

სალამი, ჩემო ვენერა!

წინა წერილებში, რომლებსაც სექტემბრის დამლევსა და ოქტომბრის დასაწყისში გიგზავნიდი, გრძელდი ერთი მოხუცი პოლონელი ქალის შესახებ, რომელთანაც ვცხოვრობდი ორი კვირის განმავლობაში. დღეს, სრულიად მოუღოდნელად, ისევ ამ სოფელში მოგვიდი და ისევ მასთან მოვთავსდი ბინაში. ზოგიერთი დედა არ მიიღებს შვილს ისე, როგორც მან მიმიღო მე, იტირა კიდევ – არ ეგონა, ცოცხალი თუ ვიყავი და სრულიად არ მელოდებოდა. ასე რომ, ამ ადამიანში დავიმსახურე დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა. ძლიერ დიდი სურვილი აქვს შენი გაცნობის (სურათით გიცნობს), მაგრამ ეს მიუღწეველი ოცნება იქნება მისთვის.

კარგად ვარ. ნოემბრის ხეთში ხელფასის (საბჭოთა ფულის) ნაშთიდან 100 მანეთი გამოგიგზავნე. მიიღე თუ არა? მიიღეს თუ არა ჩემი წერილი ბუკულიმ და დოდომ? იყავით კარგად. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე
16. 11. 1944 წელი

ჩემო ვენერა!

შენი 3-სა და 6 ნოემბერს გამოგიგზავნილი წერილები, რომელშიც მილოცავ დაქორწინების 10 წლისთავს და სხვა კეთილ სურვილებს, გუშინწინ მივიღე.

შენი წერილის მსგავსად მეც გამოგიგზავნე წერილი, რომელშიც გილოცავდი დაქორწინების 10 წლისთავს.

მივესალმები შენს სურვილს, რომ ჩვენი დაქორწინების 15-20 წლისთავზე ჩვენს უკვე დავაჟაცებულ შვილებში გაგვე-

ტარებინოს დრო. მე ვისწრაფვი, რომ 11 წლისთავზე ერთად აღვნიშნოთ ეს ისტორიული თარიღი ჩვენს ცხოვრებაში.

იყავი კარგად. გკოცნი. დაწვრილებით პასუხს შენს წერილზე მოგწერ.

შენი მ. თვალავაძე
25. 11. 44

სალამი ჩემო ვენერა!

შენი სახელი განუყრელი თანამგზავრია ჩემს ცხოვრებაში. იგი საუკეთესო მეგობარია ჩემთვის. შენს სახელს უფრო მეტად აღრმავებს ერთი შემთხვევა. იმ ნაწილში, სადაც მე ვიმყოფები, იმყოფება ორი მებრძოლი მოლდავეთის სსრ-დან, რომელთა გვარია „დოდიკა“. მათთან მე მიხდება ყოველდღიურად მეცადინეობის ჩატარება, და როდესაც მათ გვარს ვკითხულობ, ჩემს მეხსიერებაში მთელი თავისი შეგრძნებით განსახიერდება შენი სახე – დაწყებული 1934 წლის მაისიდან და დამთავრებული 1941 წლის 2 აგვისტომდე და შემდეგ ომის მთელი პერიოდის მანძილზე, როცა შენ ეწევი გმირულ ბრძოლას ოჯახური საკითხების მოსაგვარებლად.

ნუთუ მოის დამთავრების მომენტში არ გაამართლებს ჩვენი ბედი ჩვენს სასარგებლოდ?

იყავი კარგად. გკოცნი მრავალს.

ხვალ ბრძოლებში ჩავერთვები.

დამიკოცნე ბავშვები.

შენი მიშა თვალავაძე
14. 1. 45

ჩემო ვენერა!

შეტევითი ბრძოლების წინ, კერძოდ, მდინარე ვისლის „ფორსირების“ წინ წერილი მოგწერე, რომელსაც, ვფიქრობ, რომ მიიღებდი. მის შემდეგ განვლო ხუთმა დღემ. ამ ხნის განმავლობაში – დაახლოებით 150 კილომეტრი გავიარე ვარშავიდან ბერლინისაკენ. სულ მალე ბრძოლები გერმანიის ტერიტორიაზე გაჩაღდება. მალე, სულ მალე, გამარჯვებით დაგვირგვინდება ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. დამთვრდება ომი, დაბრუნდებიან ჯარისკაცები სახლებში, კვლავ გაჩაღდება მშვიდობიანი შრომა და საამური ცხოვრება ჩვენს საამაყო სამშობლოში.

ბევრი მებრძოლი, რასაკვირველია, ვერ დაბრუნდება სახლში. მათ თავი დადეს სამშობლოსათვის, მომავლის ბედნიერი ცხოვრებისათვის. ამხ. სტალინი წერს: „Слава героям, павшим за честь и независимость нашей родины“. მათ სისხლი დაღვარეს საუკეთესო მომავლისათვის, თავიანთი მშობლების დიდებისათვის, შვილების კეთილდღეობისათვის, სამშობლოს დაცვისა და დიდებისათვის. კიდევ მრავალი მსხვერპლი გველოდება, მაგრამ ყველაფერი ეს აუცილებელია კაციჭამია გერმანელების განადგურებისათვის.



მიხეილ თვალავაძე
ბერლინი, მაისი, 1945 წელი

ამ წერილს ვნერ ერთ-ერთი ღარიბი პოლონელი გლეხის ოჯახში, რომელიც გულკეთილად გაგვიმასპინძლდა. ამ წუთში იძულებული ვარ, შევწყვიტო წერა, რადგანაც ბრძანება მივიღე: „Двигаться!“.

იყავი კარგად. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე
20.01.45 წელი

სალაში ძმაო შალიკო!

ორი კვირის განსაკუთრებული შეტევითი ბრძოლების შედეგად მთელ წითელ არმიასთან ერთად ვარშავიდან 400 კილომეტრზე მეტი მანძილი გავიარე. ამჟამად ვიმყოფები კაცობრიობის უსაშინლესი მტრის – ფაშისტური გერმანის ტერიტორიაზე (პამერანია). პოლონეთის საზღვრიდან 100 კილომეტრით ვიქნები დამორებული – ფაშიზმის ბუნაგს – ბერლინს 200 კილომეტრი მაშორებს.

რაც მეტად ვუახლოვდებით ფაშიზმის ცენტრს, მით უფრო გააფთრებული ბრძოლები ჩაღდება გზადაგზა. მიუხედავად ყოველგვარი წინააღმდეგობისა, ჩვენი არმია ამსხვრევს ყოველგვარ ზღუდებს და მიიწვეს წინ საბოლოო მიზნის განსახორციელებლად.

ამ ხნის განმავლობაში მრავალი დასახლებული პუნქტი გავიარე. მოსახლეობა გრძნობს თავის დანაშაულს ჩვენი მებრძოლებისა და ხალხების წინაშე და გარბიან ბერლინისაკენ. ტოვებენ მთელ თავიანთ ქონებას, რომელიც ძარცვა-გლეჯის გზით დააგროვეს ამ ომის განმავლობაში. ყოველ დასახლებულ პუნქტში შეხვდები ძროხების ჯოგს, ცხვრისა და თხების ფარას, ღორებს, გოჭებს, შინაურ ფრინველებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, რომელთა ბატონ-პატრონი ამჟამად ჩვენი არმია გახდა.

ყოველ მებრძოლს პირადი ინეტერსი აქვს, არა მარტო ფაშისტური არმიის მიმართ, არამედ ყოველი გერმანელის მიმართაც და დადგა დრო სამაგიეროს გადახდისათვის, შერისძიებისათვის, რომელიც წარმატებით ხორციელდება.

ამრიგად, ყველა ეს არამზადა თანდათანობით იკრიბება ბერლინში, სადაც საბოლოოდ აუგებს წესს წითელი არმია და ჩვენი დიდი მოკავშირების სამხედრო ძალები.

რაღაც სასწაულით მე ისევ კარგად ვარ. თუ მომავალ სერიოზულ მორიგ დარტყმებს გადავურჩი, იმ შემთხვევაში, იმედი მექნება, დავუბრუნდე ჩვენს მშობლიურ ქვეყანას – საქართველოს, ჩემს ძვირფას ოჯახს. მოკითხვა მერის.

იყავით კარგად. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე
5 თებერვალი, 1945 წელი, პამერანია

სალაში ძმაო შალვა!

დღეს მორიგე ვარ. ღამის 12 საათამდე ჩემს თანამებრძოლ მეგობრებთან საუბარსა და კარტის თამაშში გავატარე დრო. ამის შემდეგ იმათ მდიდრულად მორთულ ოთახებში, რომელიც ბლომად მოიპოვება ამ დასაქცევ გერმანიაში, ტკბილად დაიძინეს. ერთობ მოწყენილობაა, დღეს გაზეთებიც ვერ მივიღე, რომ მის კითხვაში ჩავკლა დრო. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა გამეფებული, რომელსაც ხანდახან დაარღვევს ქვემეხების სროლის ხმა. ფრონტის მოწინავე ხაზს 10 კილომეტრით ვარ დაშორებული.

ასეთია ჩემი ეხლანდელი ხელობის თავისებურება – დიდი ბრძოლების შემდეგ, თუ რაღაც სასწაულით მშვიდობით დარჩი, დროებით უჯარო გენერლის როლში გამოდიხარ და ცოტა

ხნის შემდეგ ისევ პორთფელს მოგცემენ და შეუდგები მოვალეობის შესრულებას. მეც ამ მომენტს ველოდები.

დრო და პირობები დასვენებისათვის ერთობ ხელსაყრელია, მაგრამ მტრის ბუნაგში დროც და პირობებიც უგემურია – უმადურია, უინტერესოა. „უზინამც დღე კი დამელევა მე, უცხობაში რა არს სიამე“-ო, მგონი, ასე პასუხობს სოლომონს მისი მეუღლე სოფიო.

მეც ვერავითარ სიამოვნებას ვერ ვნახულობ ამ კაციჭამია ადამიანების ქვეყანაში. მივისწრაფი მხოლოდ იმისაკენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავანადგუროთ ეს არამზადები და მშვიდობით დავუბრუნდე ჩვენს საამაყო სამშობლოს – საქართველოს – თბილის – იმერეთს – გურიას – სამეგრელოსა და აჭარის ტურფა ბუნებას.

სულ სხვა იგი. მცირე შესვენების პერიოდში პოლონეთში ვგრძნობდი მეგობრულ დამოკიდებულებას არა მარტო პატიოსანი მებრძოლების მიერ, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც გრძნობითა და პატივისცემით მეპყრობოდა. დროც შეუმჩნევლად მიდიოდა, სიხალისე და მხიარულება იყო გამეფებული ყოველი მებრძოლის გარშემო.

ფაშიზმი – კაციბრიობის უსაშინლესი მტერი, მთელი თავისი შინაარსით გადაიშალა თვალწინ მის საკუთარ ბუნაგში. ჰიტლერმა ისე მოწამლა გერმანელი ადამიანები, რომ მათი მორჯულება ერთობ ძნელი გახდება. „კუზიანს სამარე გაასწორებსო“ – აი, ერთადერთი რეცეპტი ფაშისტური გერმანიის მოსახლეობისადმი.

ასეც ხდება.

ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ცოტა უქეიფოდ ვარ. გუშინდელს დღევანდელი მდგომარეობა სჯობს, მაგრამ ჭამის მადა ჯერ კიდევ არ დამიბრუნებია. დღეს მხოლოდ მუავე კომბოსტო, პრასა და შავი პური იყო ჩემი სადილი. ღვინის ნაცვლად წყალში გაზავებული სპირტით გავირთე თავი. ჩვე-

ნი მზარეული მირჩევს საჭმელებს, მაგრამ პრასას ძირი მთელ გერმანიას მირჩევნია.

გუშინწინ მივიღე რევაზის წერილი. ძალიან გამიხარდა. მისი წერილი თვალსაჩინო ადგილას მიდევს. ვფიქრობ შევინახო სახსოვრად.

ეტყობა, წერა-კითხვა უსწავლია – სალხინოს ენაზე. ბევრი შეცდომა აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, გამოსწორდება. მწერს: ყველანი კარგად ვართო. კარგად ყოფინისა რა მოგახსენო. ვიცი, რომ ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ რა უნდა ჰქნა?

უფლება მაქვს, ამ სამხეცედან ამანათი გავაგზავნო სახლში – 10 კილოგრამამდე, მაგრამ გული მეუბნება, „ნუ გინდაო“. მეც ხელი ჩავიქნიე. ამით მათ მე ვერ გავამდიდრებ.

ახლა უკვე 2 საათი და 30 წუთია. წვიმა მოდის. ბნელი, ნესტიანი ღამეა. ასეთია საქმის ვითარება, ჩემო ძმაო. იყავ კარგად და კარგად. სალამი მერის.

შენი მ. თვალავაძე
გერმანია (პამერანია)

11 თებერვალი, 1945 წელი

სალამი, ჩემო ვენერა!

შენი ა/წ 23 იანვარს დაწერილი ფრიად შინაარსიანი წერილი, რომელშიც ასახულია ოჯახური მდგომარეობით გამოწვეული განცდები, დღეს მივიღე. ცხადია, რომ შენ გახარებს ჩვენი არმიის მიღწევები საზიზღარი მტრის განადგურების საქმეში. ეს ასეც უნდა იყოს. ამ საერთო სიხარულთან ერთად, შენ გაშინებს ჩემი სიცოცხლის საკითხი. ესეც, ცხადია, ასე უნდა იყოს, რადგანაც ჩვენი მომავალი ერთი-მეორის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული. მე თვით მაკვირვებს ჩემი ბედი – მიუხედავად მრავალი მძიმე ბრძოლისა, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ხშირად ვიმყოფები მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ, ჯერჯერობით,

რალაც სასწაულით, ცოცხალი ვარ. მაგრამ ძნელია იმის თქმა, რა იქნება მომავალში. წინ მრავალი, კიდევ უფრო მძიმე ბრძოლები მელოდება.

მაგრამ გირჩევ და გთხოვ ერთს: რაც არ უნდა მძიმე მდგომარეობში ჩავარდე – გააგრძელე ბრძოლა იმისათვის, რომ ბავშვები, რომელთა შესახებ ვრცლად მნერდი წერილში, არ აღმოჩნდნენ მშობლიური მზრუნველობის გარეშე. შენ მწერ – „ადამიანი იმედით ცხოვრობს, თორემ ამდენხანს ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა, ამის საშუალებას გამოვნახავდიო“. ეს უკიდურესი პესიმიზმია. შენ ეს არ შეგვერის. შენ ერთობ ერთგული ხარ ოჯახისათვის – ჩემთვის. ჩემს ზოგიერთ ამხანაგს ცოლებმა წერილით აცნობეს – მეტი ცდა არ შემიძლია, ვთხოვდებიო. ამის მოთმენა უკეთესია, ვიდრე პესიმისტური განწყობილებისა ცხოვრებისადმი. ჩემ გარეშეც რომ მოგიხდეს ცხოვრება, ბოლომდე იყავი ვაჟკაცური. მარტო შრომა არ გეყოფა. შრომა გამოიყენე შენი კეთილდღეობისთვისაც.

ძლიერ კარგია, რომ ავთანდილის 1943 წლის ამბავი გაგიგია. ეხლაც უნდა ვიფიქროთ, რომ ის, როგორც სამხედრო ტყვე, იმყოფება ამ არამზადა, კაციჭამია, საზიზღარი გერმანული ნაციზმის მონობის ქვეშ. ასეთი ადამიანები, ჩვენი ძლევამოსილი დარტყმებით, ათასობით და ათიათასობით უბრუნდება ჩვენს საამაყო სამშობლოს უკან და შორს არ არის ის დღე, როცა ჯერ კიდევ ტყვეობაში მყოფი მილიონი ადამიანი საბოლოოდ დაუბრუნდება ოჯახებს და შეუდგება ადამიანურ ცხოვრებას. ავთანდილიც, ვფიქრობ, მათ რიგებში აღმოჩნდება.

ძალიან ხშირად გწერ წერილებს. უკვე ორ კვირზე მეტია გერმანიის ტერიტორიაზე ვიმყოფები. ალბათ გაიგებდი ქ. შნაიდემილეს. დღეს დამთავრდა ამ ქვაბში მომწყვდეული არამზადების გაჟლეტვა. მე ამჟამად რეზერვში ვარ. ამ დღეებში მომიხდება სამსახურის ადგილის გამოცვლა. შენაერთი იგივე იქნება, მხოლოდ ნანილი სხვა. ამიტომ მისამართი გამოიცვლე-

ბა. შენ ძველ მისამართზე შეგიძლია გზავნო წერილი, რომელ-საც გამომიგზავნიან. ახალ მისამართს გაცნობებ.

იყავი სულ კარგად და კარგად.

გკოცნით ყველას.

1943 წლის
მარტის 20-ე
შენაბ. თვალავარე
2.03.45 6.

სალამი ლიდა დეიდა!

დიდი ხანია, თქვენგან წერილი არ მომდის. ვენერას წერილებიდან ვიცი, რომ თქვენ ორივენი სერიოზული ავადმყოფნი იყავით. ისიც ვიცი, რომ საშიშროება უკვე მოგეხსნათ და გამოჯანმრთელების გზას იყავით დამდგარნი. ამჟამად ეჭვი არ მეპარება, რომ კარგად იქნებით. ეს ასეც უნდა იყოს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ როგორც მედიცინის აქტიურმა წარმომადგენლებმა, ყოველგვარი ავადმყოფობა უნდა დაძლიოთ და მეორეც იმიტომ, რომ ახალგაზრდა ადამიანისათვის ახლანდელ პერიოდში ბუნებრივი სიკვდილი აშკარა დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. პირადად მე ასე მგონია, რომ თუ ამ საშინელ ომს მშვიდობით გადავურჩი, შემდეგ მუდმივად ვიცხოვრებ, ყოველ შემთხვევაში, 100 წლამდე მაინც. თქვენც ასე უნდა მოიქცეთ, რას მიქვია ავადმყოფობა?

გისურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე სიკეთეს.

მე ისევ კარგად ვარ. ვარშავიდან შტეტინამდე მრავალი გააფთრებული ბრძოლა გამოვიარე, მაგრამ რალაც სასწაულით მშვიდობით დავრჩი. ვნახოთ, მომავალი ვის სასარგებლოდ გაიღიმებს!

შალვასგანაც, კარგა ხანია, წერილი არ მიმიღია. საერთოდ, სახლიდან წერილებს გაცილებით დაგვიანებით ვლებულობ, ვიდრე ამხანაგების წერილებს რუმინეთიდან, უნგრეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან.

ამჟამად ვიმყოფები მდინარე ოდერის მახლობლად. ღამის მეხუთე საათი მიდის. მე ვმორიგეობ. ჩემს მეგობარ თანამებრძოლებს იმავე ოთახში სძინავთ, სადაც მე ამ წერილს ვწერ. ერთი მათგანი ძლიერ ხშირად აბოდებს – ცოლ-შვილს ესაუბრება ძილში, ეტყობა, ეჭვიანობს, ზოგიც გაკვირვებით წამოიძახებს: „*Когда кончится*“.

ბნელი, უკუნეთი ღამეა, წვიმა მოდის, ფრონტისათვის უჩვეულო სიწყნარეა გამეფებული. ძალიან იშვიათად ამ სიწყნარეს არღვევს ჩვენი ქვემეტების მეთოდური სროლის ხმა და გუშაგის შეძახილი: „*Стой! кто идет?*“

ვფიქრობ, მალე, სულ მალე შეტევა განახლდება – წინ ბერლინისაკენ! აი, ყველა ჩვენი მებრძოლის ფიქრი და ოცნება, რომელიც ახლო მომავალში სინამდვილედ გადაიქცევა.

ბერლინის აღება – ეს ფაშიზმის განადგურებაა. ეს ომის დამთავრების დღე იქნება – ყველაზე ძვირფასი დღე მშვიდობის მოყვარეთა ცხოვრებაში და განსაკუთრებით, ჯარისკაცის ცხოვრებაში, რომელიც თავის ზურგზე განიცდის ომის საშინელებას. ეს იქნება მეორედ დაბადება ჯარისკაცის ცხოვრებაში.

ეს დღეც მალე იქნება.

ხუთი წუთი კიდევ დამრჩა მორიგეობის დამთავრებამდე. ვამთავრებ წერილის წერას. ვალვიძებ ამხანაგს და ვაბარებ მორიგეობას. დაწოლის წინ შენადემიულეს შოკოლადით დავნაყრდი.

იყავით კარგად და კარგად. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე

გუშინწინ მთავრობის ორი ჯილდო – ორი ორდენი გადმომცეს. ამჟამად „ტრიუდი ორდენანოსცი“ გავხდი. აი, ახალი ამბავი ჩემს ცხოვრებაში.

14. 03. 45



თემურ, ვენერა, ივანე (ვანიჩკა), ალექსანდრე, რევაზ, ივანე თვალავაძეები და ლიდა ბაქრაძე-თვალავაძე

სალამი ძმაო შალვა!

დიდი ხანია შენგან წერილი არ მიმიღია. ლიდა მწერს უკანასკნელ ხანებში წერილს. ვიცი, რომ ისინი (ვანიჩკა და ლიდა) ავად იყვნენ. ამჟამად კი, უთუოდ კარგად არიან.

შენი ხანგრძლივი პაუზის მიზეზად მე მიმაჩნია ის, რომ შენ ცხოვრობ ერთობ მყუდრო ადგილას, რომლის მსგავს მთებზე დიდებული ილია თავის „განდეგილში“ წერდა: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა, ორბინი არწივნი ვერ შეჰებიანო“.

ჩემი წერილები, ალბათ, დაგვიანებით აღწევს ბარისახოში, მაგრამ შენ ხომ გაქვს ჩემი მისამართი? საჭიროა, ზოგჯერ მოიწერო წერილი.

ომი დასასრულს უახლოვდება. მე სულ 50 კილომეტრით მაშორებს უკანასკნელ წერტილს. დღემდე კი ბრძოლებით 4000

კილომეტრი მაქვს გამოვლილი. ვფიქრობ და მივისწრაფი იმის-
კენ, რომ ეს ეკლით მოსილი გზაც მშვიდობით გავიარო.

ზოგი ჭირი მარგებელიაო. 1933/34 წლებში, როცა პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი მეტყევეობაში ლექციებს მიკითხავდა – ძლიერ მაინტერესებდა გერმანია, როგორც მეტყევეობის კლა-
სიკური ქვეყანა (განსაკუთრებით ტყის კულტურებში). სატ-
ყეო მეურნეობის ინტენსიური ხასიათი, ჭრის სისტემები, ტყის
ბუნებრივი და ხელოვნური განახლების მეთოდები და მთელი
რიგი სხვა საკითხები, რომელიც, რა თქმა უნდა, პედაგოგიკა-
თან დაშორებულია და თქვენთვისაც შესაძლებელია ინტერესს
მოკლებულია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ეს სურვილი ამჟამად,
გზადაგზა განხორციელდა.

მე, როგორც ჩემი მეგობარი კაცი, ვიქტორ მირზაშვილი
მწერს, 1941 წლამდე ვერ ვიფიქრებდი, რომ ყოველგვარი ვიზის
გარეშე და უბილეთოდ გერმანიის ტერიტორიაზე შევალაჯებ-
დი. ამის მიზანი და ჩემი მიზანიც მთელ წითელ არმიასთან ერ-
თად იმაში მდგომარეობს, რომ გამარჯვებით დავაგვირგვინოთ
ფაშისტური გერმანიის განადგურება, მაგრამ ამასთან ერთად
– „პიოტრი“ ჩემი სიყრმის სურვილიც განხორციელდა.

დასკვნა ერთია:

„საქართველოს ჩაი“-ს სისტემაში, სადაც მთელი 7 წლის
განმავლობაში ვმუშაობდი, ტყის კულტურების განვითარება
უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე აქ.

მორიგი ჩემი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავუბრუნ-
დე ძველ საყვარელ ხელობას და გავავრცელო ფართო მასი-
ვებზე ადამიანისათვის სასარგებლო კულტურები. ეს სურვილი
დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ამჟამად ვემზადები გადამწყვეტი ბრძოლებისთვის. საგ-
რძნობლად მოშორებული ვარ მოწინავე ხაზს. აქ არ ისმის არც
ქვემეხების გრიალი, არც ტყვიამფრქვევის კაკანი, არც მინე-
ბის სტვენა და არც ჩვენი თვითმფრინავების ჰაერში ნავარდით
ვერთობით. ასე მგონია, თითქოს ომი დამთავრდა-მეთქი.

ვენერასგან წერილებს ხშირად ვღებულობ. მწერს ცხოვრე-
ბის მატერიალურ გასაჭირზე. ძლიერ ვწუხვარ მათ მდგომა-
რეობას, მაგრამ რა უნდა ვქნა?

ყველაფერი გამოსწორდება, თუ მომავალი ბრძოლებიდან
გამარჯვებული გამოვალ.

იყავი კარგად და კარგად. სალამი მერის.

სახსოვრად გიგზავნი პატარა სურათს.

ამ წერილს ლიდას ვუგზავნი, რომელიც გადმოგცემს თბი-
ლისში ჩასვლის დროს. ანალოგიურ წერილს ლიდასაც ვუგზავნი.

შენი მ. თვალავაძე

8.04.45 წელი

ჩემო ვენერა!

ვიყავი ბ-ს მისადგომებთან – მივდივარ შემდეგ პირდაპირ
დასავლეთისაკენ იმ მიზნით, რომ ახლო მომავალში შევხვდე
ჩვენს მოკეთეებს. მე ჯერჯერობით კარგად ვარ. „ვეზე“ – რო-
გორც ამბობენ რუსულად.

იყავი კარგად. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე

25.04.45

სალამი ვენერას!

დღეს ბერლინი ავილეთ, მაგრამ ომი ისევ გრძელდება.

მე ჯერჯერობით კარგად ვარ. წერილებს ხშირად ვერ გიგ-
ზავნი, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. დრო მეტად განსაზ-
ღვრული მაქვს.

იყავით კარგად. გკოცნით ყველას.

შენი მ. თვალავაძე

3.05.45 წელი



Союз фронтово здравоохранение тело 1073
жидкостей.

З атмосферные жидкости.

Руководство бывшего РКМ подразделение, 20.
ноябрь 26 года в Краснодаре А. Бондаренко. Жидкости
для химиотерапии и др.

Лучшие блага.

Здравствуйте Члены

3.05.45г.н.

უკანასკნელი ბარათი

სალამი, ჩემო მიშა!

სამი დღის წინ წერილი გამოგიგზავნე, მაგრამ ამაღამ რა-
ღაც ძალიან მომენატრა შენთან ლაპარაკი. ამ წერილს რომ
ვწერ, თითქოს შენთან ერთად ვიჯდე და გელაშარაკებოდე.

ბავშვები უკვე ჩაძინებულები არიან. მე კი ვზივარ და თით-
ქოს შენ გელოდები. ოხ! ნეტავ, თუ მოვესწრები იმ დღეს – ყო-
ველ სალამოს გელოდებოდე, როგორც 1941 წლამდე. ნეტავი ვი-
ცოდე, რა მელოდება, უფრო დამშვიდებით ავიტან ყველაფერს.

ჩვენ ყველა კარგად ვართ, მაგრამ თანდათან მოთმინება მე-
კარგება. მომბეზრდა სიცოცხლე და ცხოვრება.

აბა, დაფიქრდი, რა არის ჩემი ცხოვრება. 4 წელი ყველა-
ფერს მოკლებული – შრომა, ჯავრი, უბედურება. არ მინდა,
სულიერად დავეცე, მაგრამ ეს ყველაფერი თავისთავად ხდე-
ბა, გამოსავალი ვერ მომინახავს, ვერ ვაწყნარებ ჩემს გულს
და ნერვებს, თანდათან უარესდება. რომ ვიცოდე, ომის დამ-
თავრების შემდეგ ცოცხალს გნახავდი, მაშინ თითქოს სახლში
იყო... როცა ამ საშინელ ფიქრებს გავყვები, თითქოს სუნთქვა
მიჩერდება, სიცოცხლე აღარ მინდა, სიკვდილს ვნატრობ. მაგ-
რამ ბავშვები მეცოდებიან, სულ უპატრონოდ დარჩებიან, თო-
რემ ასეთ გაუხარელ სიცოცხლეს სჯობს დროზე მოვისვნო,
ადრევე ვუშველო თავს. მაგრამ კიდევ ვფიქრობ – იქნებ შენ
გაგიმართლოს შენი კარგი ბედით და მე მაშინ ცოდო ვიქნები
ოთხივეს ერთად რომ ვეღარ შეგხედავთ. მხოლოდ ეს მაცოც-
ხლებს, ესაა ჩემი არსებობის წყარო. ქალს ქმარი რომ მოშორ-
დება, ის თან უნდა მიჰყვეს. დანარჩენი ყველანი სეირის მაყუ-
რებლები არიან.

მივიღე შენი წერილი. გაკოცეს ბავშვებმა.

შენი ვენერა
8.05.1945



მეუღლე და შვილი – ვენერა და თემურ თვალავაძეები,
რძალი – ლია ბეჭვაია მიხეილის საფლავთან
ჰენიგსდორფი, 1984 წელი

სალაში, ჩემო მიშა!

გილოცავ ომის დამთავრებას და შინ მშვიდობით ჩამოსვლას.
ჩემო მიშა, ნეტავ იცოდე, როგორ ღელავს ჩემი გული. მრავალმხრივ სასიხარულოა ჩემთვის ეს ამბავი და მრავალმხრივ ჩასაფიქრებელიც. ო! ნეტავ ვიცოდე, ცოცხალი თუ ხარ ახლა და თავისუფლად გრძნობ თავს. მაშინ ოთხი წლის ჯავრისაგან და ტანჯვისაგან დაკოდილ გულს მოვაცილებ ამ უბედურებას და ამოვისუნთქავ თავისუფლად. მაშინ იქნება ჩემთვის დამთავრებული ომი, როცა შენს წერილს მივიღებ.

ასე, ჩემო მიშა, ჩვენ ყველა კარგად ვართ, ბავშვები სიხალისთ გელოდებიან – მამიკო მოვა, ანი ომი არ იქნებაო – ამათ



ვენერა თვალავაძე მეუღლის საფლავთან
ჰენიგსდორფი, 1984 წელი

ცოდვამ მაინც უნდა შეგინარჩუნოს სული. ნუთუ ასე განწირულები ვიქნებით ხუთივე?

ჩემო მიშა, მოკლევადიან შეეპულებაზე მაინც იზრუნე, ამდენი ხნის ნატერა აგვისრულე და ჩამოდი.

ასე, ჩემო მიშა, იყავი სულ კარგად და კარგად. გაკოცეს ბავშვებმა. გკოცნის შენი ვენერა. მოინერე წერილები, თუ საშუალება არის, დეპეშაც გამოგზავნე. გვაცნობე შენი ჯანმრთელობა.

შენი ვენერა
12.05.1945 წელი